ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 05 05 2020 წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 8

„2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდების ადმინისტრირების წესის“ დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის, „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილების, „COVID 19 ვირუსის პრევენციის მიზნით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის და დროებითი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2020 წლის 12 მარტის №9 ბრძანების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების (რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით) და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოქმედი წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და უნივერსიტეტის მართვის დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდების ადმინისტრირების წესი“ დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გასაცნობად და მათთვის განკუთვნილი ამოცანების შესასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობის პირებს.

3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ბრძანების განთავსება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი,
პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**

დანართი

2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდების ადმინისტრირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდების ადმინისტრირების წესი“ (შემდეგში - წესი) შემუშავებულია COVID 19 ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (შემდეგში - უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადასვლის ღონისძიების ფარგლებში და არეგულირებს უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შუალედური გამოცდების (შემდეგში - გამოცდა) ფორმებს და მის ჩატარებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს.

2. წესი წარმოადგენს დროებით დოკუმენტს და მისი მიზანია, უზრუნველყოს საგამოცდო პროცესის ორგანიზებულად და ობიექტურად ჩატარება და სტუდენტთა უფლებების დაცვა.

მუხლი 2. გამოცდის ფორმა და ორგანიზება

1. შუალედური გამოცდების ჩატარების ვადები განისაზღვრება აკადემიური კალენდრით.

2. გამოცდა, სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექტორის შეხედულებით, შეიძლება ჩატარდეს ზეპირი ან კომბინირებული (ზეპირი, წერითი) სახით, ამ წესით შესაბამისი ფორმისათვის დადგენილი პირობების შესაბამისად, გარდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა.

3. თუ საგამოცდო ნაშრომის შეფასების პროცესში ლექტორს გაუჩნდა ეჭვი, რომ ნაშრომი გადაწერილია, იგი უფლებამოსილია, სტუდენტს დაუნიშნოს ზეპირი გასაუბრებაც.

4. გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის და ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ საგამოცდო ცენტრისათვის საგამოცდო საკითხების ოთხ ვარიანტად მიწოდებას წერითი გამოცდისთვის, ასევე ოთხ ვარიანტად მიწოდებას ზეპირი გამოცდის და კომბინირებული გამოცდის ზეპირი კომპონენტისთვის. ბილეთები უნდა გადაიგზავნოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (examcenter@sangu.edu.ge).

5. საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს საგამოცდო ცხრილის შედგენას და სტუდენტთა ინფორმირებას უნივერსიტეტის პროგრამული უზრუნველყოფის (ums.sangu.edu.ge) მეშვეობით, ასევე, შესაბამისი საგამოცდო ვარიანტების განთავსებას www.moodle.sangu.edu.ge-ს პლატფორმაზე.

6. კონკრეტულ სასწავლო კურსზე რეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, ლექტორს შეიძლება მიეცეს ორდღიანი ვადა ზეპირი გამოცდის ჩასატარებლად.

7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შუალედურ გამოცდებს ორგანიზებას უწევს შესაბამისი ლექტორი, სასწავლო/პრაქტიკული კომპონენტის სპეციფიკის შესაბამისად, რისთვისაც შეარჩევს შესაბამის ფორმას, ადგენს ვადებს და ახდენს პროგრამის მსმენელთა ინფორმირებას, უზრუნველყოფს გამოცდების ჩატარებას და შეფასებების ასახვას უნივერსიტეტის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ums.sangu.edu.ge).

მუხლი 3. წერითი გამოცდის ადმინისტრირების წესი

1. წერითი გამოცდა უნდა ჩატარდეს მუდლის (moodle.sangu.edu.ge) ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.

2. საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს გამოცდაზე სტუდენტის ქცევის წესების შემუშავებას და მათ ინფორმირებას.

3. საგამოცდო საკითხი უნდა შესრულდეს ელექტრონული დოკუმენტის სახით. სტუდენტს ასევე უფლება აქვს, შესაბამის ველში ატვირთოს ხელნაწერი ნამუშევარი, სკანირებული ან ფოტოს სახით. სტუდენტი პასუხისმგებელია ხელნაწერის გარჩევადობასა და ფოტოს/სკანირებული დოკუმენტის ხარისხზე.

4. ლექტორი უზრუნველყოფს ელექტრონული სახით წარმოდგენილი საგამოცდო ნამუშევრის მიხედვით სტუდენტის შეფასებას ელექტრონულად. შეფასების უნივერსიტეტის პლატფორმაზე (ums.sangu.edu.ge) განთავსებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული წესები გამოიყენება გამოცდის კომბინირებული სახით ჩატარების შემთხვევაშიც.

მუხლი 4. ზეპირი გამოცდის ადმინისტრირების წესი

1. ზეპირი გამოცდა უნდა ჩატარდეს პლატფორმა Google meet-ის გამოყენებით.

2. სტუდენტი ვალდებულია, ავტორიზაცია გაიაროს საკუთარი სახელით და გვარით, უნივერსიტეტისგან გადაცემული ელ-ფოსტის მეშვეობით.

3. სტუდენტს ბილეთით განსაზღვრულ საკითხებზე კონცენტრირებისათვის უნდა მიეცეს არაუმეტეს 10 წუთი.

4. სტუდენტის გამოკითხვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ინდივიდუალურად, ხოლო უცხო ენების შემთხვევაში, დასაშვებია გამოკითხვა წყვილში.

5. სტუდენტი ვალდებულია, საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას მუდმივად ჩართულ მდგომარეობაში იქონიოს კამერა.

6. ლექტორმა უნდა უზრუნველყოს გამოცდის ჩაწერა და ჩანაწერის საგამოცდო ცენტრისათვის გადაცემა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (videoexam@sangu.edu.ge). ჩანაწერთან ერთად, ლექტორმა უნდა გამოგზავნოს სტუდენტების და მათი ქულების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისი ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.

მუხლი 5. აპელაცია

1. აპელაცია დაიშვება როგორც ზეპირი, ისე წერითი გამოცდის შემთხვევაში.

2. მიღებული შეფასების აპელაციისათვის სტუდენტმა განაცხადი უნდა წარმოადგინოს ელექტრონული სახით, უნივერსიტეტის პროგრამული უზრუნველყოფის

(ums.sangu.edu.ge) მეშვეობით ან უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (info@sangu.edu.ge).

3. წერილობითი საგამოცდო ნამუშევარში მიღებული შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში განიხილება შესაბამისი საგამოცდო ნამუშევარი, ხოლო ზეპირი გამოცდის შემთხვევაში განიხილება შესაბამისი გამოცდის ვიდეო ჩანაწერი.

4. ვიდეოფაილები ინახება საგამოცდო ცენტრის მიერ გასაჩივრების ვადით, რის შემდეგაც ექვემდებარება განადგურებას.